# საქართველო
## ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## განკარგულება №6

27 თებერვალი 2015 წელი — დ.სტეფანწმინდა

ევროკავშირის ინიციატივით დაწყებული მერების შეთანხმებაში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

მუხლი 1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი ჩაერთოს ევროკავშირის ინიციატივით დაწყებულ დაწყებულ მერების შეთანხმებაში და განახორციელოს დანართში მითითებული ყველა ღონისძიება;

მუხლი 2. მუნიციპალიტეტი დელეგირებას ახდენს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაზე, რომ მან უზრუნველყოს „რეგიონული მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის“ მომზადება;

მუხლი 3. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, დ.სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ.N 76, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე — შ.ელოშვილი